010332219900023445

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

#სსკ-03-19 **17 ივნისი, 2019 წელი**
სსკ-03-19 გ. **ქ. თბილისი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე/მომხსენებელი: პაატა ქათამაძე,
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი – მ. გ.

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გასაჩივრებული აქტი – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსზე წარდგენილი განაცხადის უარყოფის შესახებ

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის დაბრუნება ხელახლა განსახილველად

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2019 წლის 10 ივნისს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას საჩივრით მომართა მ. გ. *(შემდეგში: საჩივრის ავტორი, განმცხადებელი, მოსამართლეობის კანდიდატი),* რომელმაც მოითხოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დაბრუნება ხელახლა განსახილველად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდეგში: ორგანული კანონი) 35[4] მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.
2. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მონაწილეობა მიიღო 2018 წლის 1 აგვისტოს გამოცხადებულ მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში. 2019 წლის 30 მაისს აპლიკანტს პორტალით ეცნობა, რომ იგი შეფასების შედეგად ვერ გადავიდა კენჭისყრის ეტაპზე.
3. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35[4] მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამართლის ნორმების დარღვევით, კონკურსის ჩატარებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიკერძოებული იყო, მათი მიდგომა კი - დისკრიმინაციული, საბჭოს წევრთა ნაწილმა გადაამეტა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც მისი, როგორც მოსამართლეობის კანდიდატის უფლება დაირღვა და საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას, რამაც გავლენა მოახდინა საბოლოო შედეგზე.
4. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, *„კონკურსი ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით უნდა ჩატარდეს. კონკურსის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოსამართლეობის კანდიდატთა თანასწორობა, განურჩევლად რასისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა და სხვა გარემოებებისა“.* იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოქმედებდა აღნიშნული მიზნების საწინააღმდეგოდ, რაც აპლიკანტის მტკიცებით, დასტურდება შემდეგი ფაქტებით:

4.1. შეფასების ფურცლების მიხედვით კომპეტენტურობის მახასიათებლები საბჭოს წევრებმა ობიექტურობისათვის დაუშვებელი სხვაობით შეაფასეს. ზოგ შემთხვევაში კომპეტენტურობის მახასიათებელი შეფასებულია 48 ქულით, ზოგ შემთხვევაში კი, 84 ქულით. საბჭოს ექვსმა წევრმა კომპეტენტურობის შეფასებისას გამოიჩინა გაუმართლებელი დისკრიმინაციული მიდგომა - კეთილსინდისიერების მახასიათებლები უარყოფითად შეაფასა, მაშინ, როცა საბჭოს არც ერთ წევრს სხვა კონკურსის დროს მისი კეთილსინდისიერების მახასიათებლები უარყოფითად არ შეუფასებია.

4.2. საბჭოს წევრებმა არ გაითვალისწინეს, რომ მას დამთავრებული აქვს პრესტიჟული უნივერსიტეტი, აქვს სამოსამართლო პრაქტიკა, არის დოქტორანტი, მაღალი შეფასებებით ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, მის პროფესიონალიზმს რეკომენდაციას უწევენ საქართველოში ცნობილი პროფესორები და აკადემიკოსები.

4.3. საჩივრის ავტორის მტკიცებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უმრავლესობამ შეფასების დროს არ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[1] მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესით: *„მოსამართლის საქმიანობა ფასდება ობიექტურად, კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად.“*

5. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, „მოსამართლის შერჩევის წესი შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/308 გადაწყვეტილებით, კონკურსის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართეობის კანდიდატის საკითხს განიხილავს ორ ეტაპად, კერძოდ; 12[1] და მე-14 მუხლებით დადგენილი წესით, პირველი ეტაპი გულისხმობს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფორმალური მხარის შემოწმებას და კონკურსის მე-2 ეტაპზე გადასვლის უფლების მქონე კანდიდატის შერჩევას. კონკურსის მეორე ეტაპი კი გულისხმობს კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებას, კანდიდატთან გასაუბრებასა და გადაწყვეტილების მიღებას. „მოსამართლეთა შერჩევის წესის“ შესახებ გადაწყვეტილების მე-12 მუხლის მე-5 პუნქტით, *„მოსამართლეობის კანდიდატს იუსტიციის საბჭოს წევრი აფასებს ინდივიდუალურად, კეთილსინდისიერებისა ან კომპეტენტურობის ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში იუსტიციის უმარლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება,“* რა შემთხვევაშიც სახეზეა კანდიდატისათვის დანიშვნაზე უარის თქმა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის თაობაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების გამო. კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილების პროცედურა კი გაწერილია მე-14

მუხლით, ხოლო ამავე წესის მე-15 მუხლის თანახმად: „*იუსტიციის მსმენელის და კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა (გამწესება) ფორმდება გადაწყვეტილებით.*“ ორგანული კანონის 35[4] მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში „*საჩივარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მოსამართლის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც მიღებულ საჩივარს თანდართული მასალებით 3 დღის ვადაში გადასცემს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას“.* ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „*საქმის განხილვის შედეგად უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: ა) მოსამართლის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ; ბ) მოსამართლის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე“.* აღწერილი ნორმების შესაბამისად, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, ყოველგვარი ანალიზისა და გონივრილი განსჯის გარეშე ნიშნავს საქმის ხელახლა განხილვას და არა მხოლოდ კენჭისყრის ხელახლა ჩატარებას.

6. საჩივრის ავტორის განმარტებით, წინამდებარე განჩინების მე-4 პუნქტში აღწერილმა გარემოებებმა განაპირობეს, რომ მოსამართლედ გამწესებაზე მის კანდიდატს კენჭი არ ეყარა.

7. განმცხადებელი წარმოდგენილი საჩივრის საკვალიფიკაციო პალატის მიერ განხილვის საფუძვლად უთითებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[4] მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, „*საქმის განხილვის შედეგად უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ბ. მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე“.*

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საჩივარი, თანდართული მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების მოთხოვნით, წარმოებაში არ უნდა იქნეს მიღებული, შემდეგ გარემოებათა გამო :

8. ორგანული კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად *„უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა ამ კანონის 35[4], 36[5] და 36[6] მუხლებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით ან უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე“.* ამავე კანონის 35[4] მუხლის პირველი პუნქტისა და „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/308 გადაწყვეტილების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, *„მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს, მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში“.*

9. ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლეობის კანდიდატი უფლებამოსილია, საკვალიფიკაციო პალატაში გაასაჩივროს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც მას უარი ეთქვა მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე. ასეთ გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს იმ მოსამართლეობის კანდიდატების მიმართ, რომლებიც გადავიდნენ ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით შეფასებისა და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შეფასების ფურცლებში შეტანილი ინფორმაციის შეჯამების შედეგების მიხედვით კენჭისყრის ეტაპზე. ეს დასკვნა გამომდინარეობს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-11 პუნქტის ბოლო წინადადებიდან (*შეჯამების შედეგების წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის მოსამართლეობის კანდიდატს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გასამწესებლად),* ასევე, ამავე მუხლის მე-12 პუნქტისა (*მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გასამწესებლად კენჭი ეყრება მხოლოდ იმ მოსამართლეობის*

კანდიდატს, რომელიც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით მოსამართლეობის კანდიდატის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია) და მე-14 პუნქტის *(მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების ან მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლეობის კანდიდატს გადაეცემა გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა)* შინაარსიდან.

10. განასახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოსამართლეობის კანდიდატმა ვერ დაძლია კომპეტენტურობის კრიტერიუმის ზღვარი (იხ. შეფასების ქულათა შეჯამების ოქმი), რის გამოც მას 2019 წლის 30 მაისს პორტალით ეცნობა იმის შესახებ, რომ იგი შეფასების შედეგად, ვერ გადავიდა კენჭისყრის ეტაპზე და შეაბამისად, მისი კანდიდატურა არ ყოფილა წარდგენილი კენჭისყრაზე 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წინაპირობის არარსებობის გამო. სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კენჭისყრაზე არ დაუყენებია და შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატის მიმართ არ გამოუცია, „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/308 გადაწყვეტილების მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება, მოსამართლედ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ორგანული კანონის 35[4] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრებას ექვემდებარება. აღნიშნული ნიშნავს, რომ საკვალიფიკაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას წარმოებაში მიიღოს წარმოდგენილი საჩივარი, შეისწავლოს და იმსჯელოს იმ გარემოებებზე (დისკრიმინაცია და ა.შ.), რომლებზეც წინამდებარე განჩინების მე-4 პუნქტშია მითითებული.

11. საჩივარი არ არის დასაშვები საკვალიფიკაციო პალატის პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან ***(იხ.საქმე № სსჯ-2-17, საქმე №სსკ 01-18).***

12. ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი საჩივარი არ ექვემდებარება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში განხილვას, რის გამოც განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას საჩივრის წარმოებაში მიღებაზე. ამასთან, საკვალიფიკაციო პალატა განმარტავს, რომ საჩივრის ავტორს უფლება აქვს საერთო სასარჩელო წესით დაიცვას საკუთარი ინტერესები.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ იხელმძღვანელა საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 15.1„ზ“; 19^{1}.1; 36^{5} მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-ს. უარი ეთქვას საჩივრის წარმოებაში მიღებაზე;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე: **პაატა ქათამაძე**

მოსამართლეები: **ვასილ როინიშვილი**

ბესარიონ ალავიძე